საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/73 "22" ივლისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ი. შენგელიას თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 18 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2022 წლის 20 ივლისს მიღებულ იქნა მხოლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ირაკლი შენგელიას განცხადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთაგან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. ირაკლი შენგელიას აქვს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება. ამავე დროს, მას აქვს მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ ირაკლი შენგელიას დანიშვნის შესახებ, მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 29 ივლისიდან:

1. ირაკლი შენგელია დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, 5 წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ი. შენგელიასთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის №1/135 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე